ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის
ბრძანება

KA990117188752316

№ 01-363-07 **30 / ივნისი / 2016 წ.**

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელთან არსებული კოლეგიური ორგანოს - პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ე“ და „ე.ვ[1] ქვეპუნქტებისა და „პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 23 ივნისის N139 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის შესაბამისად ვბრძანებ:

1. შეიქმნას ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელთან არსებული კოლეგიური ორგანო - პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

მახარე ჩოკორაია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე - კომისიის თავმჯდომარე;

დოდო გაბუნია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

ლევან ქავთარაძე - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე - კომისიის წევრი;

ლევან ღვინჯილია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის, ადმინისტრაციულ ერთეულებში საქმიანობის კოორდინაციისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;

თეონა ტურავა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში - კომისიის წევრი;

2. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელთან არსებული კოლეგიური ორგანოს - პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისიის მდივნის ფუნქცია დაეკისროს ხობის მინიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის, ადმინისტრაციულ ერთეულებში საქმიანობის კოორდინაციისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილების წამყვან სპეციალისტს საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ნათია გაბისონიას.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს 2016 წლის 3 ივლისიდან.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ვარაზ გაბედავა